

**ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დამოუკიდებელი წევრის, ქალაქ
ოზურგეთის #60,01,02 მაჟორიტარული ოლქიდან, ლევან მგელაძის
ანგარიში
2020 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ**

2020 წლის გაწეულ საქმიანობის ანგარიშს, როგორც შარშან ისევ დავიწყებ ჩემი წინა საარჩევნო კამპანიის სლოგანით - „ღირსეული და სამართლიანი ცხოვრებისათვის“, რომელიც უფრო აქტუალური გახდა კოვიდ პანდემიის პერიოდში, ამ ღირებულებების დაცვას კვლავ გავაგრძელებ და გავაგრძელებ ჩემი საკრებულოში მოღვაწეობის პერიოდში. საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსისა და საკრებულოს რეგლამენტით მაქვს ვალდებულია წარმოგიდგინოთ ანგარიში 2020 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ. ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსითა და საკრებულოს რეგლამენტით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად ვარ ფრაქცია „ოზურგეთს მომავლისათვის“ თავმჯდომარე, საანგარიშო პერიოდში ვიყავი და ვარ საკრებულოს „სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურისა“, „აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების“ კომისიის წევრი და მუნიციპალიტეტის მერიის ორ კომისიის წევრი.

საანგარიშო პერიოდში დავესწარი საკრებულოს 17, ბიუროს 20, კომისიის 17 სხდომებს. ჩავატარე ფარქციის 18 სხდომა, რომლებიც დაფიქსირებულია ოქმების სახით. ვატარებდი რეგლამენტით გათვალისწინებულ გეგმიურ და დაუგეგმავ შეხვედრებს მოსახლეობასთან. აქტიურად ვმონაწილეობდი იმფრა-სტრუქტურული პროექტების დაგეგვმაში და კომპეტენციის ფარგლებში ვუწევდი ზედამხედველობას შესრულებულ სამუშაოებს. ასევე ვმონაწილეობდი მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მონიტორინგში, რეგლამენტის მიხედვით გავეცანი, განვიხილე და შესაბამისი პასუხი გავეცი ყველა განკარგულებისა და დგენილების პროექტებს. საკრებულოში ჩემი მოღვაწეობის პრიორიტეტი არის მოსახლეობის ჩართულობა მუნიციპალიტეტის საქმიანობაში, მათი პრობლემების გამოვლენა და შესწავლა, ამ პრობლემების მოგვარების გზების გამონახვა. მოსახლეობის ყოფით პრობლემებს დაემატა კოვიდ პანდემიით გამოწვეული უამრავი პრობლემა, რაც ძალიან მტკივნეულად აისახა მოსახლეობის მოწყვლად ჯგუფებზე. მაქსიმალურად ვცდილობ დავეხმარო მოქალაქეებს კოვიდ პანდემიით, სოციალურ-ეკონომიკური, ყოფითი და სტიქით მიყენებული პრობლემების მოგვარებაში. ჩემი საარჩევნო ოლქის საზღვრებში მოვახდინე მარტოხელა პენსიონერი და სოციალურად შეჭირვებული ოჯახების აღრიცხვა და შეძლების და გვარად ვეხმარებოდი და

კვლავაც ვეხმარები სხვადასხვა პრობლემების მოგვარებაში.

2020 წლის საანგარიშო პერიოდშიც აქტიურად ვიყავი ჩართული მუნიციპალიტეტისა და არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ინიცირებულ პროექტში „იყავი თანამმართველი“. დაინტერესებულ მოქალაქეთა ჯგუფებს ვეხმარებიდი და კონსულტაციებს უწევდი ინიცირებული პროექტების დაფინანსების მოპოვებაში. მიმაჩნია, რომ აღნიშნული პროექტი იქნება საწინდარი სახალხო ბიუჯეტის შედგენის. წელსაც მოქალაქეების ჩართულობით დაიგეგმა, შედგა და განხორციელდა ან განხორციელდება სხვადასხვა პროექტები; საგზაო იმფრასტრუქტურის, მრავალბინიანი კორპუსების ეზოების ფასადებისა და სახურავების რიაბილიტაცია, სხვა და სხვა უბნებში დასასვენებელი კუთხეების მოწყობა, საზოგადოებრივი სივრცეების (სკვერების და პარკების) სპორტული მოედნების რეაბილიტაცია,

ჩემი, როგორც საკრებულის წევრის და როგორც მოქალაქის მოღვაწეობის პრიორიტეტია ეკოლოგიური საკითხების შესწავლა და მოგვარებაში. მუნიციპალიტეტის საზღვრებში ინერტული მასალის ქვიშა-ხრემის უკანონოდ მოპოვების პრობლემას დაემატა მცირე ჰესების მშენებლობა და ქალაქის ექადიის უბანში მეორადი ფერადი ლითონების გადამამუშავებელი ქარხნის მშენებლობა. საკრებულოში ფრაქციის სხდომებზე სხვადასხვა მიმდინარე საკითხებთან ერთად სისტემატიურად განვიხილავდით ეკოლოგიურ და ეკოლოგიასთან დაკავსირებულ საკითხებს. მოსახლეობასა და არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად შევაჩერეთ რამოდენიმე უკანონო კარიერის საქმიანობა. ვმონაწილეობდი რამოდენიმე საკითხის ონლაინ განხილვებში და საინიციატივო ჯგუფის მიერ საპროტესტო და საიმფორმაციო შეხვედრებში. მიმაჩნია, რომ ეკოლოგიური საკითხების დიდი საზოგადოებრივი დაინტერესებიდან გამომდინარე ონლაინ განხილვები უნდა გადაიდოს, რადგან ონლაინ შეხვედრების დროს ობიექტური და სუბიექტური გარემოებებიდან გამომდინარე ვერ ხდება მოქალაქეების სრულფასოვანი ჩართულობა. ნამდვილდ არ ვარ პროგრესისა და განვითარების წინააღმდეგი, მაგრამ ეს არ უნდა მოხდეს განუკითხავად, ბარბაროსულად და რეგიონის ეკოლოგიის დაზიანების ხარჯზე. მოუწოდებ საკრებულოს წევრებს და მოქალაქეებს უფრო აქტიურად ვიმოქმედოთ და მოვაგვაროთ ზემოთ აღნიშნული პრობლემები. 2020 წლის საანგარიშო პერიოდშიც აქტიურად ვთანამშრომლობდი არასამთავრობო ორგანიზაციებთან თვითმართველობის საკითხებთან დაკავშირებით, მიმაჩნია რეგიონის და ჩვენი მუნიციპალიტეტის განვითარებისთვის აუცილებელია რიალური დეცენტრალიზაცა და კვლავ ვაგრძელებ მუშაობას თვითმართველობის განვითარებისათვის. რაც დრო გადის, კიდევ უფრო ვრწმუნდები, რომ ქალაქ ოზურგეთს აუცილებლად უნდა ჰქონდეს თვითმმართველი ქალაქის სტატუსი და მოქალაქეებმა კვლავ ისარგებლონ იმ სიკეთეებით რაც არსებობდა ქალაქის

თვითმართველობის

პერიოდში.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის განხილვის დროს, გამოიკვეთა ბიუჯეტის დაგეგმის, ტრანსფერების განაწილების და სვადასხვა საკითხების არა სამართლიანი მიდგომა, რაც ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას. მიმაჩნია რომ აუცილებლად გადასახედია ბიუჯეტის დაგეგმის წესი. ვიმედოვნებ საკრებულოსთან ერთად შევისწავლით ზემოდ აღნიშნულ საკითხს და მოვახდენთ საკანონმდებლი დონეზე საკითხის ინიცირებას. ჩემს ანგარიშში აუცილებლად მინდა შევეხო 2020 წელს ჩატარებულ საპარლამენტო არჩევნებს. რადგან არ ვარ არცეთი პარტიის წევრი, ობიექტურად ვაკვირდებოდი საარჩევნო პროცესებს და ვთვლი, რომ აპარლამენტო არჩევნები ჩატარდა დიდი ხარვეზებით და არჩევნებში ვერ აისახა მოქალაქეების ნება. სრულად ვემხრობი ოპოზიციური პარტიების პოზიციას, რომ არჩევნები გაყალბდა და ვეთანხმები ხელახალი საპარლამენტო არჩევნების გამართვის მოთხოვნას.

და ბოლოს მადლობა მინდა გადაუხადო საკრებულოს აპარატს, საკრებულოს წევრობის უფლებამოსილების განხორციელებაში დახმარებისთვის.

მაქსიმალურად ვცდილობ და ვეცდები, რომ ჩვენს მოქალაქეებს ქონდეთ ღირსეული და სამართლიანი ცხოვრება.